



თორნიკე რამაზაშვილი
საქართველო-რუსეთის მეგობრული ურთიერთობა ?

თბილისი 2020

წინასიტყვაობა

რუსეთი რომ ოკუპანტია, უკვე იმ აქსიომატურ ჭეშმარიტებად ჩამოყალიბდა, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება, რადგან თავისთავად ცხადია. პოლიტიკის სამყაროში დამკვიდრებული აზრი, რომ „არ არსებობენ მუდმივი მტრები და მუდმივი მეგობრები, აპრიორია. მუდმივი ინტერესების აბსოლუტური ჭეშმარიტების ნაწილში გვარწმუნებს რუსეთის ფედერაციის დამოკიდებულება გარკვეულ სახელმწიფოებთან, ამ შემთხვევაში კი საქართველოსთან, საუკუნეების მანძილზე ისტორიას არ ახსოვს ისეთი დრო, სადაც რუსეთი ყოფილიყოს მეგობრული განწყობით საქართველოსთან მიმართებაში.

პოლიტიკაში რომ შეუძლებელია მეგობრობა, არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია სახელმწიფოთა შორის დამაბული ურთიერთობის თავიდან არიდება და მეგობრული თუ არა, გარკვეულწილად პოზიტიური, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება, სადაც აუცილებლად მოიძებნება ადგილი საერთო მიზნებისა და ინტერესებისთვის, რომელიც ქვეყნებისთვის იქნება კეთილდღეობის მომტანი. დღევანდელ დროში სწორედ ამ პარტნიორული შეთანხმების საფუძველზე დგანან და ურთიერთქმედობენ სახელმწიფოები, რომელთა შორისაც ფაქტია, რომ ოკუპაცია, ანექსია და სხვა ტიპის საერთაშორისო სამართლის დარღვევები არ ხდება.

რამდენად შეიძლება იყოს ინტერესები მუდმივი? როგორც ფრანგი მწერალი ონორე დე ბალზაკი აღნიშნავდა „მუდმივი არაფერია, ყველაფერი მხოლოდ პირობითია და ჰავის მიხედვით იცვლება. იმისთვის, ვინც იძულებული ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ორომტრიალში გადაეშვას, რწმენა და ზნეობრივი წესები ფუჭი სიტყვებია. გვრჩება ერთადერთი გრძნობა, რომელიც ბუნებამ ჩაგვინერგა - თავდაცვის ინსტიქტი.“

საქართველოსაც ეს გზა დარჩა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობაში.

ღირებულებათა მეტამორფოზა

სახელმწიფოს მართავენ ინდივიდები. ინდივიდს აყალიბებს გარემო. გარემო შედეგია ზემოქმედების. ზემოქმედებას კი ახდენენ ინდივიდები. ეს არის ის უსასრულო და უწყვეტი წრე, რომელზეც ტრიალებს კაცობრიობა მისი შექმნის დღიდან. ისტორია კი სხვა არაფერია, თუ არა გაუთავებელი კონფლიქტები. ამ პროცესში ინდივიდის ადგილი და როლი საგრძნობლად შესამჩნევია. კერძოდ, ის წარმმართველია იმ პროცესების, რომელიც შემდეგში განსაზღვრავს თითოეული ადამიანისა და ზოგადად საზოგადოების ყოველდღიურობას.

გავრცელებული შეხედულებით, სახელმწიფო ხელოვნურ წარმონაქნს წარმოადგენს, ის ბუნებრივისგან განსხვავებით გაცილებით ძლიერია და პასუხისმგებელია ადამიანების დაცვასა და მათ უსაფრთხოებაზე. ინდივიდების ინსტიტუტური ურთიერთქმედების საფუძველზე და თავისუფალი ნების შედეგად იქმნება უსაფრთხო შიდა გარემო, სადაც თითოეული დაცულია გარე საფრთხეებისგან, საბოლოო ჯამში გვევლინება პოლიტიკა, როგორც საზოგადოებრივი ინტერესებისა და იდეების ერთობლიობის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობა.

მაშასადამე, ადამიანური ურთიერთობები განსაზღვრავენ სახელმწიფოთა ურთიერთობებს, სადაც ლოგიკურია, რომ ისეთი ტერმინები, როგორც არის მორალი, მეგობრობა, ნდობა, ურთიერთპატივისცემა და სხვა, თავს იჩენს ხოლმე პოლიტიკის კონტექსტშიც, ადამიანები კი დაჟინებით ცდილობენ შეუთავსონ ისინი ერთმანეთს. თუმცა როგორც პოლიტიკური ბუნების ერთ-ერთი განმსაზღვრელი და თვალსაჩინო წარმომადგენელი იტყოდა „პოლიტიკას არანაირი კავშირი არ აქვს მორალთან“, რომლის შემდეგაც აღნიშნული აზრი იქცა პოლიტიკური საქმიანობის იდეაფიქსად და მყარი ნიადაგი მოუმზადა შემდგომი საუკუნეების პოლიტიკის ბუნებას.

ჩნდება კითხვა, თუ პოლიტიკა დაკავშირებულია ადამიანური საქმიანობის უმაღლეს ფორმასთან, მაშინ რატომ არ შეიძლება მეგობრობა, მორალი და მსგავსი პოზიტიური ღირებულებები იყოს პოლიტიკური საქმიანობაც, სწორედ ამ აზრთან დაკავშირებით აღნიშნავდნენ, რომ „შესაძლებელია მორალური პოლიტიკოსის წარმოდგენა, ანუ იმ პირის, ვინც პოლიტიკის ისეთ პრინციპებს აყალიბებს, რომელიც შეთავსებადია მორალთან, მაგრამ შეუძლებელია პოლიტიკური მორალისტის წარმოდგენა, რომელიც მორალის პრინციპებს შეაგუებს სახელმწიფო მოღვაწის ინტერესებთან.“

რეალურად, ვინაიდან პოლიტიკურ მოღვაწეთა ინტერესები რადიკალურად უპირისპირდებოდა მორალს, შესაბამისად პოლიტიკაში ზნეობრივი ნორმები და მორალი დაემორჩილა სახელმწიფოს, რადგან თვლიან, რომ მმართველს აბარია ხალხის ბედი, ამ დროს კი პოლიტიკური პასუხისმგებლობა სულ სხვა გზით მიემართება, ვიდრე მორალი, ხოლო მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება, ეროვნული ინტერესები და ფიქრი გადარჩენაზე.

როდესაც პოლიტიკაში სახელმწიფოთა უსაფრთხოება და ინტერესები მოდის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში, ამის ნიადაგზე წარმოიშობა კონფლიქტური სიტუაციები, რომელიც შეიძლება საომარ ვითარებამდე მივიდეს. მეტი თვალსაჩინოებისთვის, თუ ერთი სახელმწიფო მოღვაწის ინტერესშია საკუთარი ტერიტორიის გაფართოება მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ხარჯზე, ხოლო ამ უკანასკნელის ინტერესშია თავდაცვა, მსგავსი ფაქტის თავიდან არიდებისთვის, შესაძლებლობების ფარგლებში ის ან დაუპირისპირდება მტერს, ან გაერთიანდება და ალიანსებში შევა სხვა სახელმწიფოებთან, მათი მხარდაჭერის მიზნით.

შესაბამისად, ყველა დროში პოლიტიკური დღის წესრიგი დაყვანილი იყო სიტუაციურ მოკავშირეობამდე და საერთო მიზნების მიღწევამდე. ასეთ დროს, თითოეული სახელმწიფოს მიზანია საკუთარი სიცოცხლისუნარიანობისთვის მოახდინოს ადაპტაცია მოცემულ რეალობასთან და შეძლოს პარტნიორული ურთიერთობების გამონახვა/ჩამოყალიბება რიგ სახელმწიფოებთან.

ისტორიული ექსკურსი

კაცობრიობის ისტორიის იმ ეპიზოდში, სადაც მიმდინარეობდა გაუთავებელი ბრძოლები იმპერიათა შორის, დანაწევრებული საქართველო წარმოადგენდა ერთ-ერთ ინტერესის ობიექტს. ქვეყანა, საკუთარი არასაკმარისი რესურსების გამო ცდილობდა მოეძებნა პარტნიორები, რომლისგანაც მიიღებდა მატერიალურ თუ იდეოლოგიურ დახმარებას. ასეთ ვითარებაში, ძირითადი მზერა მიპყრობილი იყო როგორც მოსაზღვრე მეზობლებისკენ, ასევე არც ისე შორეულ ევროპაში.

ხოლო რაც შეეხება რუსეთის პირველშობილ ინტერესებს საქართველოს მიმართ, ის ვერ იქნებოდა უანგარო და მეგობრული, როდესაც მის პრიორიტეტს წარმოადგენდა საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობა, შავი ზღვა და მისი სტრატეგიული გასასვლელელები, ამგვარ ვითარებაში, გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, რომ საქართველოსთვის არსებითად მნიშვნელოვანი დახმარების გაწევის მაგივრად, ეს უკანასკნელი გაეხვეოდა მისი იმპერიალისტური პოლიტიკისა და ინტერესების საუკუნოვან მორჩილებაში.

ძირითად შემთხვევაში, მიზანმიმართულად არის შექმნილი ისეთი გარემო, სადაც როგორც ადამიანი, ასევე სახელმწიფო ხდება მორჩილი და ქედს იხრის მისაღები ალტერნატივის არარსებობის პირობებში. რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო ძლიერდებოდა რუსული სახელმწიფოებრივი ძალაუფლება და შესაბამისად იზრდებოდა წნეხი საქართველოს მისამართით, რომელიც არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ცრუ დახმარებებით, კერძოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ეტაპობრივ წართმევასთან ერთად არც ქრისტიანობა ყოფილა ის მორალური ბარიერი, რომელიც რუსეთს ათქმევინებს უარს საკუთარ ექსპანსიონისტურ პოლიტიკაზე.

ბოლშევიკურმა რუსეთმა გააგრძელა ცარისტული პოლიტიკა და არც მისი სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია აცდენია პოლიტიკურ კურსს, დამოკიდებულება კი საქართველოსთან მიმართ არასდროს შეცვლილა, შეიცვალა მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებები.

სასაუბრო ფორმატის უტოპიურობა

2008 წლის აგვისტოში განხორციელებული სამხედრო აგრესიის შემდეგ, ორ ქვეყანას შორის ევროკავშირის შუამავლობით დაიდო 6 პუნქტიანი შეთანხმება, რომლის ძირითადი მიზანი იყო ძალის გამოყენებასა და საბრძოლო ქმედებებზე უარის თქმა, ჰუმანიტარული დახმარების თავისუფალი მიმოსვლის დაშვება, საერთაშორისო დისკუსიის დაწყება აფხაზეთისა ე.წ. სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესახებ - რაც საბოლოოდ მაინც არ შესრულდა. ყველაფერთან ერთად, ამავე წლის აგვისტოს ბოლოს, რუსეთის დუმამ ოფიციალურად მხარი დაუჭირა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას.

იმის ფონზე, რომ პოლიტიკური საკითხების შეთანხმება შეუძლებელი ჩანდა, სავაჭრო-ეკონომიკური, სატრანსპორტო, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის პრობლემების განხილვა გაგრძელდა სასაუბრო ფორმატის სახით, რუსული მხარე მაინც ვერ მალავდა შიშს და შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ნატო დაინტერესებულია საქართველოს მდგომარეობით და მისი მზაობით, გახდეს სამხედრო ალიანსის წევრი.

ამასთანავე აღსანიშნავია, 2009 წლის აპრილში, რუსეთის ხელისუფლების, სოხუმისა და ცხინვალის დე-ფაქტო მთავრობების ხელის მოწერა შეთანხმებაზე, რომელიც რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის სასაზღვრო ძალებს ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე მოქმედების უფლებამოსილებას ანიჭებს. აქედან მცოცავი ოკუპაციის პირველი ინციდენტი დაახლოებით სამი თვის შემდეგ მოხდა, პროცესი კი უფრო მეტად გამწვავდა 2013 წელს. შექმნილი ძალთა ასიმეტრიულობის გამო საქართველო პირდაპირ ვერ პასუხობს რუსეთის ქმედებებს, მცოცავი ოკუპაცია კი განაგრძობს სოფლების, ადამიანებისა და მათი საკუთრების ხელყოფას, საბოლოო ჯამში, ასეთ ვითარებაში არათუ მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება, არამედ ეფექტური სასაუბრო ფორმატიც უტოპიურ ხასიათს იღებს.

ბოლოსიტყვაობა

გარდა იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის, გარკვეულ, მცირე ნაწილს მიაჩნია, რომ შესაძლებელია რუსეთის ფედერაციასთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება ოკუპირებული ტერიტორიების საკითხის გვერდის ავლით, ქვეყანაში არსებობენ პოლიტიკური პარტიებიც, რომლებსაც გააჩნიათ დაახლოებით მსგავსი ხედვები, რომლის მიხედვითაც რუსეთის ფედერაციას აღიქვამენ არა როგორც აგრესორად, არამედ საიმედო პოლიტიკურ პარტნიორად და ერთმორწმუნე მეგობარ სახელმწიფოდ.

მიუხედავად საქართველოში არსებული პოლარიზებული საზოგადოებისა, მოსახლეობის უმრავლესობის დამოკიდებულება რუსული პოლიტიკის მიმართ კიდევ ერთხელ გამოჩნდა მაშინ, როდესაც დუმის კომუნისტი დეპუტატი სერგეი გავრილოვი ეწვია თბილისს. სავსებით ბუნებრივია, რომ ისტორიულად საქართველოს სუვერენიტეტის შემლახველს, ქართული ენის წამრთმევს, ავტოკეფალიის გამაუქმებელს და მრავალი უდანაშაულო პატრიოტი ადამიანის სისხლის დამღვრელს მოსახლეობა მსგავსი ხალმხრავლობით და მშვიდობიანი პროტესტით შეხვდებოდა.

როგორც ადამიანს, ასევე სახელმწიფოს, თუ გააჩნია მოქნილი გონება და სულიერი ურყეობა, ყველაზე რთულ მდგომარეობაშიც კი შეძლებს იპოვოს გამოსავალი და ისეთი რამ, რაც მისცემს უპირატესობას შექმნილ ვითარებაში. ამასთანავე თუ შეეცდება გაამყაროს საკუთარი პოზიციები და ემოციებს არ მისცემს იმის საშუალებას, რომ მართოს იგი. საქართველო პატარა ქვეყნების რიგს, რომ განეკუთვნება, ეს იმთავითვე არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა განწირულია. მას ჰყავს სტრატეგიული პარტნიორი ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის გარეშეც, საქართველო პრობლემების პირისპირ მართო დარჩება და გამოსავლის ძიებაში, ის მრავალ წლებს მოანდომებს, თუ საერთოდ შეინარჩუნა სუვერენიტეტი.

ონორე დე ბალზაკის სიტყვების მიუხედავად, რომ „მუდმივი არაფერია“, საქართველო ვერ იქნება რუსული ინტერესების დასრულების მოლოდინში, რომელიც საუკუნეებია გრძელდება და ვიმედოვნებთ, რომ საქართველო შეძლებს იპოვოს გამოსავალი არსებული ვითარებიდან, რომელიც საერთოდ არ ჟღერს არარეალურად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია - ეკა აკობია, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006 წელი.
2. პოლიტიკური თეორია - მამუკა ბიჭაშვილი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006 წელი.
3. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/45004?publication=0>
4. <http://old.infocenter.gov.ge/78-buqarestis-samiti.html>
5. http://gip.ge/wp-content/uploads/2017/12/Policy%20Paper_GIP_2017_Geo.pdf
6. <https://idfi.ge/ge/russia-georgia-war-infographic>
7. <https://www.amerikiskhma.com/a/abashidze-karasin-meeting-rferl-georgia-interview/4959241.html>